ძველი თბილისის რაიონი, ი. გრიშაშვილისქ. № 11
რეაბილიტაციის პროექტი

მშენებლობის ორგანიზაცია

თბილისი

2026 წ.

ნახაზების ჩამონათვალი

№		დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1	მოპ-1	ნახაზების ჩამონათვალი, სიტუაციური გენგეგმა, განმარტებითი ბარათი
2	მოპ-2	განმარტებითი ბარათი
3	მოპ-3	განმარტებითი ბარათი, ძირითადი სამშენებლო მექანიზმებისა და მანქანების ჩამონათვალი
4	მოპ-5	სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი, მუშათა რაოდენობის ცვალებადობის გრაფიკი
5	მოპ-6	გენგეგმა
6	მოპ-7	სქემატური ჭრილი

სიტუაციური გეგმა მ 1:1000



განმარტებითი ბარათი

შესავალი

წინამდებარე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს ძველ თბილისში, ისტორიულ ნაწილში, აბანოთუბანში, ი. გრიშაშვილის №11-ში მდებარე აბანოს შენობის რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაციას.
წინამდებარე „სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:
1. სნ და წ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“.
2. სნ და წ 1.04.03-85 - „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“.
3. სნ და წ III-4-80 - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში”, მოქმედი სნ და წ ამონაკრები - საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა. თბ. 1987 წ.
4. შ.ბაქანიძე, მ.ლორთქიფანიძე, - „ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე“ ქ.თბ. 2006წ.
5. სნ და წ 3.01.01-85* - „სამშენებლო საქმიანობის წარმოება“.
6. სნდაწ 3.01.01-85* - „ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაში“.
7. № 361 27.05.2014 წ. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ ტექნიიკური რეგლამენტი“.
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 255 2019 წლის 31 მაისი ქ. თბილისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ.
ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.
სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა შესაბამის უფლებამოსილებისა და გამოცდილების მქონე სუბიექტის მეშვეობით.

სამშენებლო მოედნის ორგანიზების და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების აღწერა

სარეაბილიტაციო ობიექტი მდებარეობს ძველ თბილისში, ისტორიულ ნაწილში, აბანოთუბანში, ი. გრიშაშვილის №11-ში. ამ უბნის ფუნქციურ დატვირთვას ძირითადად განაპირობებდა გოგირდის აბანოთა სიმრავლე და ხელოსანთა რიგები. მე-20 საუკუნის შუა პერიოდში დაიწყო სტრუქტურული ცვლილებები და ამავე დროს მიკროუბანს ეწოდა აბანოთუბანი. მე-19 საუკუნეში აბანო რამდენჯერმე გადაკეთებულა. სპეციალისტების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა აბანოს არსებობის სხვადასხვა ფენები და დეტალები. შენობაზე ჩატარებული ლაზერული სკანირების შედეგად შეიქმნა არქეოლოგიური ანაზომის ნახაზი, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია. გამომდინარე აქედან პროექტით განსაზღვრულია სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოები.
სამშენებლო ობიექტზე საინჟინრო კომუნიკაციების, ასევე სხვა რაიმე ქსელის არსებობის შემთხვევაში, სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია მათი ჩაჭრა საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყუროების ქვეშ, დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით, უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, სამონტაჟო ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, ცვლილებები უნდა მოხდეს დადგენილი წესით, შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და დამკვეთის მიერ.

დირექტორი		ნ.ზაზუნიშვილი	ძველი თბილისის რაიონი, ი. გრიშაშვილის ქ. № 11 რეაბილიტაციის პროექტი	შპს "აკრიანი"	
პრ. მთ. არქ.		გ. ციციშვილი	მშენებლობის ორგანიზაცია	ფურცელი	ფორმატი
შეასრულა		ი. გორგაძე	ნახაზების ჩამონათვალი, სიტუაციური გეგმა, განმარტებითი ბარათი	მოპი-1	A3

სამუშაოების მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება ტერიტორიაზე სამუშაოთა მწარმოებლისა და მუშა-პერსონალის ოთახის მოწყობით. ტერიტორიაზე საინჟინრო კომუნიკაციები ეწყობა დროებითი გადამყვანებით. მოედანზე უნდა მოეწყოს საშენ-მასალათა დასაწყობებისთვის განკუთვნილი ლოკაცია, რომელიც უნდა შეიზღუდოს სასიგნალო ლენტების საშუალებით და ტერიტორიაზე გაიკრას გამაფრთხილებელი, საინფორმაციო და ამკრძალავი ბანერები. აკრძალულია მოედანზე უცხო პირთა და იმ მუშა-პერსონალის დაშვება, რომელნიც არ არიან ჩართული სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოებში.
მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია ობიექტს აწყობს/ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტის მიხედვით, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. მშენებლობა უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხვედველობის ქვეშ. ფარული სამუშაოების მიღება შესაბამის უფლებამოსილი პირების კონტროლის ქვეშ, დადგენილი წესით აუცილებელია. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით:
- სარეაბილიტაციო ობიექტის დროებითი ღობით შემოსაზღვრა, ტერიტორიაზე შესაბამისი გამართხილებელი, საინფორმაციო და ამკრძალავი ბანერების გაკვრა.
- სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი შენობის მონტაჟი.
- სამშენებლო მასალის დასაწყობება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით.
- ნაკვეთზე დროებითი წყლის, კანალიზაციისა და ელმომარაგების ქსელის მოწყობა.

მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათი ხანგრძლივობის აღწერა

მოცემული სამშენებლო სამუშაოები იყოფა ორ რიგად.

I რიგის სამუშაოები. მოსამზადებელი რიგის სამუშაოები.

მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი საპროექტო ობიექტზე განისაზღვრა შემდეგი ეტაპი:

ეტაპი №1 - მოსამზადებელი სამუშაოები: სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, დროებითი ღობისა და ნაგებობებისა მონტაჟი, სამშენებლო მასალების დასაწყობება, დროებითი წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ელმომარაგების მოწყობა (1 თვე).

II რიგის სამუშაოები. ძირითადი სამშენებლო სამუშაობი.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს შემდგომ მუშა-პროცესს. კერძოდ სამუშაოებისთვის გამოიყო ექვსი ეტაპი:

ეტაპი №2 - შენობის ნალესობის მოხსნა ფასადებზე და ინტერიერში ხელის მექანიკური იარაღებით (4 თვე).

ეტაპი №3 - სახურავის ძველი თუნუქის საბურველისა და ხის კონსტრუქციის დაშლა და ახლით შეცვლის სამშენებლო სამუშაოები (3 თვე).

ეტაპი №4 - სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოები, ინტერიერში ნაწილობრივი გადაგეგმარება (6 თვე).

ეტაპი №5 - ახალი კიბის უჯრედის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები (3 თვე)

ეტაპი №6 - შენობის ინტერიერისა და ფასადების მოსაპირკეთებლი სამშენებლო სამუშაოები (6 თვე).

ეტაპი №7 - სამშენებლო ნარჩენების გატანისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (1 თვე).

სულ დადგინდა შვიდი ერთეული ეტაპი.

სამუშაოების ხანგრძლივობისა და სამშენებლო სამუშაოების წარმართვის თავლსაზრისით ობიექტები მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით საშუალო კატეგორიისაა.

სამონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ და წ 1.04.03-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე.

სამუშაოების განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, ასევე რეალური სიტუაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა T=24 თვის პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში.

კალენდარულ გეგმაზე ობიექტის რეაბილიტაციის შემოთავაზებული თანმიმდევრობა რეკომენდირებული ხასიათისაა, მისი კორექტირება შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებითა და სამშენებლო პროცესში აღმოჩენილი სხვადასხვა გარემოებებით.

სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით. ეტაპების დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ეტაპის დასრულების შესახებ.

სამშენებლო სამუშაოთა მოცულობისა და მომუშავეთა საშუალო წლიური გამომუშავების მიხედვით ყოველდღიურად საჭირო იქნება საშუალოდ 12 მომუშავის დასაქმება, მათ შორის 4 ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი იქნება.

დაფარული სამუშაოების დათვალიერებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალი

ფარული სამუშაოების დასრულება მოხდება შესაბამისი აქტის შედგენით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაერთვება ფარული სამუშაოების ფოტოფიქსაცია. აქტებზე ხელმომწერი მხარეები – დამკვეთი, მენარდე, ობიექტზე მიმაგრებული დამოუკიდებელი ზედამხედველი სუბიექტი; მიწის სამუშაოებზე აუცილებელია ინჟინერ-გეოლოგის დასწრება და აქტებზე მისი ხელმოწერის დაფიქსირება.

აქტები იკინძება და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედება; ასევე უსაფრთხოებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალები.

მოცემულ მშენებლობაზე დაფარული სამუშაოების აქტები უნდა შედგეს შემდეგი სახის სამუშოების ჩამონათვალზე:

- მიწის სამუშაოების დასრულებაზე.

- რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოებისას კონსტრუქციების არმირების დასრულებაზე მათ დაბეტონებამდე.

აქტები იკინძება და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედება; ასევე უსაფრთხოებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალები.

დირექტორი		ნ.ზაზუნიშვილი	ძველი თბილისის რაიონი, ი. გრიშაშვილის ქ. № 11 რეაბილიტაციის პროექტი	შპს "აკრიანი"	
პრ. მთ. არქ.		გ. ციციშვილი	მშენებლობის ორგანიზაცია	ფურცელი	ფორმატი
შეასრულა		ი. გორგაძე	განმარტებითი ბარათი	მოპი-2	A3

უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებითა და სასმელ-სამეურნეო წყლით

სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოების პერიოდში მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და სასმელ-სამეურნეო წყალზე განისაზღვრება გამსხვილებული მაჩვენებლის არსებული ნორმებით (სნ - 73; გვ.18) და (სნ-73; გვ.12).
1. მოთხოვნილება სასმელ-სამეურნეო წყალზე შეადგინა - 2 ლ/წმ
2. მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე შეადგენს - 20 კვტ/სთ

მშენებლობის უსაფრთხოება

მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ და წ III-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.
მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:
1. მშენებლობის უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სამუშაოთა წარმოების დროს.
2. სარეაბილიტაციო ობიექტზე რამდენიმე ორგანიზაციის ერთდროულად მუშაობისას მშენებლობის უსაფრთხოების საკითხი განხილული უნდა იქნეს ერთობლივად და შეთანხმდეს ძირითად კონტრაქტორ ფირმასთან, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში - დამკვეთთან.
3. სარეაბილიტაციო ობიექტზე გამოყოფილი უნდა იყოს პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც პასუხს აგებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვისათვის.
4. მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს სამშენებლო ობიექტზე ყოფნისას უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, ხოლო სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით.
5. სარეაბილიტაციო ობიექტზე უნდა იყოს პირველი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები.
6. სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოების უბანი და ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმის შესაძლებლობა.
7. იკრძალება მოედანზე მუშაობის სახიფათო ზონაში უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა.
8. სამუშაო ადგილი არ საჭიროებს მუშების პირობებისა და კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით უზრუნველყოფას.
9. მომუშავეებს უნდა ჩაუტარდეს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი და აღჭურვილ უნდა იქნენ ჩაფხუტებით, ქამრებითა და ხელთათმანებით.
10. სამშენებლო მოედანზე აუცილებელია ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებათა დაცვა თანახმად შსს №449 ბრძანებისა (2007 წლის 27 მარტი) "საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ."
11. მანქანა–მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
12. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.
13. ელ.მომმარაგებელი კომპანიის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით, ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურებიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენებით, საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება;

ეკოლოგია და ბუნების დაცვა

1. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ნარჩენების პრევენცია, შეგროვება, აღდგენა და განთავსება გარემოსდაცვითი, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმებისა და წესების დაცვით საქართველოს კანონის "ნარჩენების მართვის კოდექსის" მიხედვით.
2. საქმიანობისას უნდა შესრულდეს ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები, გათვალისწინებულ იქნეს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოს აღდგენის ღონისძიებები და მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური საშუალებები.
3. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანებისგან დასაცავად.
4. იკრძალება სამშენებლო მოედანზე ბეტონ და ხსნარამრევ კვანძების მოწყობა.
5. არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონისა და ხსნარ მილსადენების ჩარეცხვა და მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით აკრძალულია.

ძირითადი სამშენებლო მექანიზმებისა და მანქანების ჩამონათვალი

№	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	რაოდ.
1	ავტოამწე	1
2	ასაწყობი სახარაჩო სექციები	
3	ელექტრო შესადუღებელი აგრეგატი	2
5	ჯალამბარი 1,0 ტ. ტვირთამწეობის	2
6	ხელის ელექტრო ხერხი	3
7	სხვადასხვა იარაღების კომპლექტი	8

დირექტორი		ნ.ზაზუნიშვილი	ძველი თბილისის რაიონი, ი. გრიშაშვილის ქ. № 11 რეაბილიტაციის პროექტი	შპს "აკრიანი"	
პრ. მთ. არქ.		გ. ციციშვილი	მშენებლობის ორგანიზაცია	ფურცელი	ფორმატი
შეასრულა		ი. გორგაძე	განმარტ. ბარათი, ძირითადი სამშ. მექანიზმებისა და მანქანების ჩამონათვ.	მოპი-3	A3

სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თ ვ ე ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა																						
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX	XX	XXI	XXII	XXIII	XXIV
I რიგის სამუშაოები																								
ეტაპი №1 - მოსამზადებელი სამუშაოები: სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, დროებითი ღობისა და ნაგებობებისა მონტაჟი, სამშენებლო მასალების დასაწყობება, დროებითი წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ელმომარაგების მოწყობა	6																						
II რიგის სამუშაოები																								
ეტაპი №2 - შენობის ნალესობის მოხსნა ფასადებზე და ინტერიერში ხელის მექანიკური იარაღებით.		10	10	10	10																		
ეტაპი №3 - სახურავის ძველი თუნუქის საბურველისა და ხის კონსტრუქციის დაშლა და ახლით შეცვლის სამშენებლო სამუშაოები						10	10	10															
ეტაპი №4 - სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოები, ინტერიერში ნაწილობრივი გადაგეგმარება									16	16	16	16	16	16									
ეტაპი №5 - ახალი კიბის უჯრედის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები															12	12	12						
ეტაპი №6- შენობის ინტერიერისა და ფასადების მოსაპირკეთებლი სამშენებლო სამუშაოები																		12	12	12	12	12	12	
ეტაპი №7 - სამშენებლო ნარჩენების გატანისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები																								8

მუშათა რაოდენობის ცვალებადობის გრაფიკი



დირექტორი		ნ.ზაზუნიშვილი	ძველი თბილისის რაიონი, ი. გრიშაშვილის ქ. № 11 რეაბილიტაციის პროექტი	შპს "აკრიანი"	
პრ. მთ. არქ.		გ. ციციშვილი	მშენებლობის ორგანიზაცია	ფურცელი	ფორმატი
შეასრულა		ი. გორგაძე	განმარტ. ბარათი, ძირითადი სამშ. მექანიზმებისა და მანქანების ჩამონათვ.	მოპი-4	A3

გენგეგმა მ1:500


ჩ
დროებითი
ღობე
დროებითი ღობის
ოსაფრთხოების ქოლგა
ბრიგს შეკლის ქ.
საკადასტრო
საზღვარი
1
2
3
4
ტროტუარი
ფეხით მოსიარულეთა ზონა
ავტოსადგომი
ბეტონის ბორდიური
ასფალტის საფარი
ფეხით მოსიარულეთა ზონა
ბეტონის ბორდიური
ასფალტის საფარი
ავტოსადგომი
ბეტონის ბორდიური
ასფალტის საფარი
ბეტონის ბორდიური
ასფალტის საფარი
ბეტონის ბორდიური
ასფალტის საფარ

თბილისი, ძველითბილისის რაიონი,
ი. გრიშაშვილის ქ. № 11
მთავარი ფასადი
(პროექტი)



პერობითი აღნიშვნები:

- ახლად მოსაწყობი ნაწილი
- ამჟამად მოსაწყობი ნაწილი
- მოსახსნელი ნაწილი



თბილისი, ძველითბილისის რაიონი,
ი. გრიშაშვილის ქ. №11
ჭრილი
(პროექტი)



შენიშვნა:

- ინტერიერში შენარჩუნდება ზოგადი გეგმარება და კონსტრუქციები (კამარები, თაღები, ნახევარსვერული გუმბათები). ნაწილობრივ გადაგეგმარდა (მაგ. აუზების ფორმის და ზომის შეცვლა და სხვა) საარქივო მასალების მიხედვით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ამ გარემოსთვის დამახასიათებელი ტრადიციული თემატიკითა და ფორმით.
- იატაკის ნიშნულები დაზუსტდეს ადგილზე მუშაობის პროცესში.
- კედლებზე ნალესობა მოეხსნას ძალიან ფრთხილად ხელის მექანიკური იარაღებით.
- ახალი შელესვა მოხდეს შესაბამისი ხსნარით, ასევე მოპირკეთება შესრულდეს პროექტის გათვალისწინებით.
- შელესილი კედლები დაგუშავდეს, დაიბრუნტოს და შეიღებოს მაღალი ხარისხის საღებავებით.
- კედლის და ხის ელემენტების ფერი შესრულდეს ფერთა კვლევის მიხედვით. არქიტექტორთან შეთანხმებით.
- გათვალისწინებულია გადახურვის ხის კონსტრუქციის და სახურავის საფარის სრული გამოცვლა.
- სახურავის საფარისთვის გათვალისწინებულია დაფერილი თუნუქის ბურული.
- გაიწმინდოს საბუხრე შახტები, შეკეთდეს საბუხრეს თავები.
- ზომები მოცემულია მილიმეტრებში . ნიშნულები მეტრებში.

დირექტორი		ნ.ზაზუნიშვილი	ძველი თბილისის რაიონი, ი. გრიშაშვილის ქ. № 11 რეაბილიტაციის პროექტი	შპს "აკრიანი"	
პრ. მთ. არქ.		გ. ციციშვილი	მშენებლობის ორგანიზაცია	ფურცელი	ფორმატი
შესრულა		ი. გორგაძე	სქემატური მთავარი ფასადი და ჭრილი	მოპი-6	A3